თვითონ გამოსვლებში დამსწრეთ ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შორის ნდობის განმტკიცებას, თანამშრომლობის განვითარებას. კერძოდ, სატელევიზიო კორპორაციის პრეზიდენტმა ტ. ტერნერმა თქვა: „როგორც მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა აქ დამსწრე წარმომადგენელთა უმრავლესობამ იცის, მნიშვნელოვანწილად მათზეა არის დამოკიდებული საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის მომავალი. და საბჭოთა კავშირში ჩემს კოლეგებთან ურთიერთობის გამოცდილებაც მოწმობს, რომ შეგვიძლია კარგად ვაშენოთ ეს ურთიერთობა და მეფიქრობ, დღეს სწორედ ის დღეა, როცა შეგვიძლია ვიიმაყოთ იმით, რომ ვცხოვრობთ ამქვეყნად, იმით, რომ ყველანი ადამიანები ვართ. დღეს შეგვიძლია ვთქვათ, რომ გაძალებულმა შეიარაღებამ პირდაპირ. გაიჩანაგა ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკა, ვთქვათ, იაპონიასთან შედარებით, ზარალი მიაყენა საბჭოთა ეკონომიკას. მე არაერთგზის ვყოფილვარ საბჭოთა კავშირში, იქ კეთილი, შესანიშნავი ადამიანები არიან, ისევე როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში. რა თქმა უნდა, შეგვიძლია განუწყვეტლივ ვაკრიტიკოთ ერთმანეთი, მაგრამ რას მოგვცემს ეს? საგნებს უნდა ვუყურეთ ფართოდ, უნდა ვითანამშრომლოთ, უნდა გვწამდეს ერთმანეთის, ვენდობოდეთ ერთმანეთს. მე ამას ვცდილობ. ვყოფილვარ საბჭოთა კავშირში, მიმოგზაურია ქალაქებსა და სოფლებში უიარაღოდ, დაუცველად, ვისაც როგორ მოესურვებოდა, ისე მომექცეოდა. მაგრამ არაფერი ეს არ მომხდარა. შეგობარივით მექცეოდნენ. და ვფიქრობ, რომ აქ დამსწრე მრავალ ადამიანს შეუძლია ბევრი რამ გააკეთოს. ამისათვის, რომ გადოს ხიდი ჩვენს ქვეყნებს შორის. ძალიან კარგია, რომ ამერიკის ტელევიზიაში უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მეტს იუწყებიან კეთილმოსურნეობის სულისკვეთებით საბჭოთა კავშირის შესახებ და ეს ტენდენცია იზრდება. იგი უნდა განვავითაროთ, რადგან წარმატებით განვავითარეთ ჩვენს ეკონომიკასაც, თუ უარს ვიტყვით გამალებულ შეიარაღებაზე. სხვა გამოსავალი უბრალოდ არ არის. მინდა, რომ „ამერიკის მასობრივი ინფორმაციის აქ მყოფი წარმომადგენლები მუშაობდნენ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის საკეთილდღეოდ.

გამომცემელმა ს. რიჩარდსონმა დამსწრეთ შეახსენა ის წვლილი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის მეცნიერებმა შეიტანეს საუალო და ნაკლები სიმორის რაკეტების შესახებ შეთანხმების მიღწევაში. პაგუოშში, აღნიშნა მან, ოცდაათი წლის წინათ მეცნიერები ერთმანეთს შეხვდნენ არა უბრალოდ როგორც თავიანთი ქვეყნების წარმომადგენლები, არამედ სწორედ ისე, როგორც მოგვიწოდებდნენ ანშტაინი და რასელი — როგორც ადამიანთა მოდგმის წევრები. და ისინი განიხილავდნენ უძნელეს საკითხებს. ისინი განიხილავდნენ გამალებული ბირთვული შეიარაღების საკითხს. მათ მალე გამოიტანეს დასკვნა, რომ ეს შეიარაღება არ შეიძლება ემსახურებოდეს გონივრულ პოლიტიკურ მიზანს. და მაშინ მათ ხელი მოჰკიდეს იმ ურთიერთნდობის ტექნიკური საფუძვლების ჩაყრას, რომლებიც გვჭირდება, კონტროლის პრობლემის გადაწყვეტას, და სწორედ ამ საკითხებზე, ძნელ საკითხებზე შეძლეს შეთანხმება. ამის შემდეგ ისინი თავთავიანთ ქვეყნებში დაბრუნდნენ და დაიწყეს მუშაობა თავიანთ მთავრობებთან, თავიანთი მთავრობების დარწმუნება, რომ არის კარგი ტექნიკური მეცნიერული საფუძველი განიარაღებისათვის. და აი ახლა, როგორც იქნა, მიღწეულია პირველი შეთანხმება, რომლის თანახმად ბირთვული იარაღის მთელი კლასი ისპობა. აქედან გამომდინარეობს, რომ ყური უნდა ვათხოვოთ მეცნიერებს — ჩვენს ქვეყანანშიც, საბჭოთა კავშირშიც.

თავის მხრივ მ. ს. გორბაჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა: ვფიქრობ, დაშვებული იყო საერთო შეცდომა, როცა ყური არ ათხოვეს აინშტაინსა და მის თანამოაზრეებს. ისინი გვაფრთხილებდნენ: მსოფლიომ მიიღო ისეთი ძალა, რომელსაც ახალი მიდგომა სჭირდება. მაშინ ამას არ მოეკიდნენ საკმარისი პასუხისმგებლობით და აი ვიმკით მეცნიერთა აზრისადმი უპატივცემულო დამკიდებულების ნაყოფს. ჩვენ გვჭირდება მეცნიერთა აზრი, მათი კომპეტენტურობა, დავინახეთ, მსოფლიომ როგორ ყურად იღო „ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის მებრძოლ მსოფლიოს ექიმთა“ მოძრაობის აზრი. ლაუნმა და ჩაზოვმა ადგილიდან დაძრეს ეს იდეა, და ნახეთ, როგორ შეხვდნენ მას მთელ მსოფლიოში, იმიტომ, რომ ალაპარაკდნენ საქმის მცოდნე ადამიანები, რომლებსაც წარმოუდგენიათ, რა მოხდება, ბირთვული კონფლიქტი რომ დაიწყოს. ამას კოლოსალური ზემოქმედება ჰქონდა.

ახლა ჩვენი მეცნიერები კონტაქტებს ამყარებენ ფიზიკის, მათემატიკის სფეროში. მეცნიერებმა მრავალი მნიშვნელოვანი რამ გვიკარნახეს, და ჩვენ იგი გამოვიყენეთ, გამოვძებნეთ იმისადმი მიდგომის გზები, რომ მიგვეღწია საშუალო და ნაკლები სიმორის რაკეტების შესახებ ხელშეკრულებისათვის. მოლაპარაკების დროს წამოვაყენეთ წინადადება შეიქმნას საბჭოთა და ამერიკელი მეცნიერების კომიტეტი. დაე მათ თავიანთი შეფასებანი გააცნონ ხელმძღვანელობას, რომ ვიცოდეთ, რა ფასი აქვს ამა თუ იმ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას, რომლებსაც ვიღებთ.

მასობრივი ინფორმაციის წამყვან საშუალებათა წარმომადგენლებმა განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინეს საბჭოთა კავშირში გარდაქმნისა და საჯაროობისადმი.

რაც შეეხება ჩვენს პრობლემებს, ისინი დავასახელეთ, დავადექით პოლიტიკური ინსტიტუტების განახლების, სრულყოფის, დემოკრატიის განვითარების, სახალხო მეურნეობის მართვის ფორმების დახვეწის, სულერი ცხოვრების გამდიდრების გზას. ჩვენს გეგმებს გარდაქმნა ვუწოდეთ. ჩვენი მთავარი ამოცანაა გავუღვიძოთ ინტერესი ხალხს ყოველივე ამისადმი და გავხადოთ იგი გარდაქმნის რეალური მონაწილე. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, საჯაროობის გარეშე ამას ვერ გადაწყვეტთ. ამიტომ გავაერმავებთ საჯაროობას, სტიმულს მივცემთ კონსტრუქციულ და კრიტიკულ საქმიანობასა და პასუხისმგებლობას. აქ საჭირო არ არის სენსაციები, ცხელ-ცხელი ფაქტები. აქ საჭიროა ფიქრი, ისეთი ფიქრი, რომელიც ადამიანს ჩასწვდება სულსა და გულში, გაუღვიძებს სურვილს აღამაღლოს თავისი ქვეყანა, განსაზღვროს თავისი ადგილი საერთო საქმეში. რა თქმა უნდა, ასეთ პროცესში ხდება აზრთა შეტაკება, და პრესამ ეს უნდა გვიჩვენოს რეალურად მოქალაქეობრივი პოზიციებიდან, და არა იმისათვის, რომ დღეს რაც შეიძლება მეტი ესა თუ ის გაზეთი გაიყიდოს. მთავარია, რომ საზოგადოებამ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მეშვეობით მიიღოს პასუხი კითხვებზე, რომლებიც აღელვებს.

ჩვენ გავაფართოებთ ჩვენი მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა კონსტრუქციულ, დემოკრატიულ, კრიტიკულ საქმიანობას. ისინი დაგვეხმარნენ პირველ ეტაპზე, და მათი დახმარების იმედი გვაქვს დასახული რეალიზაციის მომდევნო ეტაპზეც. და აქ იმედი გვაქვს, რომ პრესა დაგვეხმარება, აქტიურად მიიღებს მონაწილეობას ამაში. მაგრამ კონტროლი და კრიტიკა თვით პრესასაც სჭირდება. ისიც უნდა იყოს ხალხის მხრივ კრიტიკისა და კონტროლის ობიექტი.

ვფიქრობ, რომ ყველაზე დიდი და საფუძვლიანი გარანტია, საიმედო გარანტია იმისა, რომ ამ პროცესებს ექნება პოზიტიური და სტაბილური მიმართულება, ის არის, რომ პოლიტიკოსებს საფუძვლიანად უწევენ კონტროლს ხალხები, საფუძვლიანად ებმიბიან საერთაშორისო პოლიტიკის პროცესში ფართო მეცნიერული, კულტურული წრეები, როგორც ჩანს, ჩვენი ქვეყნებისა და მთელი მსოფლიოს ხალხებს მობეზრდათ იმის ცქერა, როგორ არ უპასუხებენ პოლიტიკოსები თანამედროვე მსოფლიოს იმპერატივებს. პოლიტიკის, მეცნიერების, კულტურის სინთეზი, საზოგადოებრივი მოძრაობის საერთაშორისო პოლიტიკის აქტიური მონაწილეობა და ავანსცენაზე გამოსვლა — სწორედ ეს არის იმის გარანტია, რომ უკვე ვეღარ მოხერხდება ხალხთა მანიპულირება ისე, როგორც ეს აქამდე იყო. ყველამ შეიგნო, რომ საქმე ასე ვეღარ წავა. ეს მიმაჩნია მთავარ გარანტიად. პოლიტიკა გამოვიდა კაბინეტებიდან, ხელისუფლების კორიდორებიდან. იგი ახლა გავიდა ფართო საერთაშორისო ცხოვრების ასპარეზზე, მასში რეალურად ებმებიან ისინი, ვინც დაინტერესებულია, რომ მშვიდობა შეინარჩუნოთ.

საუბრის დროს რედაქტორებმა აღძრეს სსრ კავშირში ადამიანის უფლებათა საკითხებიც, დაიმუწმეს ეგრეთ წოდებული ფაქტები, რომლებიც ხშირად ფიგურირებს ამერიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში.

მ. ს. გორბაჩოვმა თქვა: თქვენში ინფორმაცია ამსოლუტურად არ შეესაბამება სინამდვილეს. ჩვენთან საერთოდ არ არის ისეთი ცნება, როგორიცაა „პოლიტიკური დანაშაული“, — ჩვენში არის სახელმწიფო დანაშაული. ჩვენ დავიცავთ ჩვენს წყობილებას იმათგან, ვისაც სურს შეარყიოს იგი, როგორც ამას ყველა სახელმწიფო შვრება. კაპიტალიზმსა და ბურჟუაზიულ სამართალს რატომ აქვთ უფლება დაიცვან ბურჟუაზიული წყობილება, სოციალიზმს კი არ შეუძლია დაიცვას თავისი წყობილება?

და აი ის, რაც ამერიკის შეერთებულ შტატებში მიჩნეულია კანონიერად, საბჭოთა კავშირში უცანონოა.

გუშინ პრეზიდენტმა მითხრა: რატომ უწუწუნებთ კეთილს ქვეყნიდან ემიგრაციას, რატომ არ აძლევთ წასვლის ნებართვას ყველას, ვისაც ეს სურს.

მე ვუპასუხე: ბატონო პრეზიდენტო, თქვენ რატომღა უწუწუნებთ კეთილს? თქვენს ქვეყანაში ჩამოსვლას, მექსიკის საზღვარზე მავთულხლართები გაგბინ და შიგ მეავტომატეები ჩასაფრდნენ, რათა მექსიკიდან საზღვარი არავინ გადმოლახოს. საბჭოთა კავშირისაგან კი მოითხოვენ, ვისაც უნდა, ყველა წამოვიდესო. უცნაური შეხედულება გაქვთ. პრეზიდენტმა მიპასუხა: ხომ არ შეგვიძლია ყველა მექსიკელი შემოვისახლოთო.

რატომ გგონიათ, რომ ყველა მიატოვებს სამშობლოს, მექსიკას და ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოვა?

ჩვენ ახლა ყველა მსურველი გავუშვებთ. არ ვუშვებთ იმათ, ვინც თავდაცვის საწარმოებში მუშაობდა, ვინც დაკავშირებულია გამოთვლითს ტექნიკასთან, იარაღის შექმნასთან, მართვის სისტემებთან. მათ სახელმწიფო საიდუმლოებანი იციან. ყველა სახელმწიფო იცავს თავის საიდუმლოებებს. მაშ ჩვენ რატომ უნდა ვიყოთ ისეთი დოყლაპიები, რომლებსაც არად ენაღვლებათ არც სახელმწიფოს ბედი, არც მისი თავდაცვისუნარიანობა.

მოდით, თავი დავანებოთ ამ საკითხებში სპეკულაციას. მოვსინჯოთ, რომელი კონცეფცია ხორციელდება ამერიკის შერთებული შტატების კანონმდებლობაში, და დავინახავთ, რომ იგი უგულებელყოფს სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებს, მთელ მსოფლიოში აკრიტიკებენ ამერიკას ამისათვის, იგი ხელს არ აწერს ამის თაობაზე საერთაშორისო პაქტებს. მაშ, რა მორალური უფლება აქვს მოძღვრობა დაიჩემოს დანარჩენი მსოფლიოს მიმართ. რა უფლებით გვარიგებს ჭკუას. გუშინ ვუთხარი პრეზიდენტს, თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, პროკურორი არა ხართ და არც მე ვარ მეთქი ბრალდებული.

თუ თქვენ ამ და სხვა საკითხებზე კამათი გსურთ ფართო კონტექსტით, მოდით ვიკამათოთ, ოღონდ პრესა მეშვეობით.

ჩვენი პრესა ახლა მთელ გვერდებს უთმობს დასავლელ კორესპონდენტთა გამოსვლებს შეუმოკლებლად, ამკარად. სხვათა შორის, გაზეთ „იზვესტიაში“ მთლიანად დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ინტერვიუ, რომელშიც იგი ბრალს სდებს საბჭოთა ხელმძღვანელობას. ჩვენ კრიტიკას არ გვშინია. თქვენი კრიტიკა ხშირად არადამაჯერებელია. იგი უპატივცემულოა ჩვენი ხალხის მიმართ და ამიტომ პატივისცემას არ იწვევს. მას შეიძლება ანგარიში გაუწიონ მხოლოდ ექსტრემისტთა ჯგუფებმა, რომლებიც უკმაყოფილონი არიან საზოგადოებით.

მ. ს. გორბაჩოვმა დაასახელა დეზინფორმაციის კონკრეტული ფაქტები, როცა იყენებენ სხვადასხვაგვარ მითქმა-მოთქმასა და ჭორებს, რომლებსაც შემდეგ აიტაცებენ ხოლმე „ამერიკის ხმის“, ბი-ბი-სის რუსული განყოფილებები და სხვები, თუ, თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი ცდილობენ საბჭოთა კავშირი ცუდად წარმოადგინონ, მაშასადამე, კარგი საქმე წამოგვიწყია, დიდი საქმეების გადაწყვეტა განგვიზრახავს გარდაქმნის დროს. და რაკი ცდილობენ შეანელონ ინტერესი ჩვენი პოლიტიკისადმი, მაშასადამე, გარდაქმნა ნელიოზული საქმეა ჩვენთვისაც, მსოფლიოსთვისაც.

საუბრის დროს წამოაყენეს კონკრეტული წინადადებანი საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების გამომცემლობათა რედაქტორების გაცვლის შესახებ.

მ. ს. გორბაჩოვმა მხარი დაუჭირა ამ იდეას. თავისთავად კონტაქტებისა და ურთიერთგაგების გაღრმავების იდეა, თქვა მან, ძალიან საჭიროა. აქ დამსწრე საბჭოთა ამხანაგები იფიქრებენ ამ საკითხებზე, დახვეწენ ორგანიზაციულ ფორმებს.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ◆ მოვლენა ◆ კომენტარი

როგორი შრომითი მიღწევებით ვეგებებით კარს მომდგარ ახალ სამეურნეო წელს? ამაზე მოგითხრობთ ჩვენი დღევანდელი ინფორმაციებიც.

გაიმარჯვა საკავშირო შეჯიბრებაში

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საფინანსო ორგანოების მუშაკებს არაერთხელ გაუმარჯვიათ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. ამჟამადაც არ უღალატეს ტრადიციას და მიმდინარე წლის მესამე კვარტალის მუშაობის შედეგად მიენიჭათ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს და სახელმწიფო დაწესებულებათა მუშაკების პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის გარდამავალი წითელი დროშა.

▼▼

მუყაითი შრომის შედეგი

თელავის რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობების საკვებმომავებლებმა წელს მუყაითად იშრომეს: გეგმით გათვალისწინებული 15700 ტონის ნაცვლად მოიმარაგეს 20029 ტონა უხეში საკვები, ტრანშეებში ჩადეს 18210 ტონა სილოსი — ნაცვლად 18000 ტონისა, გეგმაზე ბევრად მეტი დაამზადეს ბალახის ფხვნილიც, დროულად იზრუნეს კომბინირებული და სხვა საკვებით პირუტყვის უზრუნველსაყოფად.

▼▼

ბამბეულით, ტყავგალანტერეით, კულტურულ-სამეურნეო დანიშნულების საქონლით დატვირთული სამი ვაგონი გაიგზავნა საქართველოს დედაქალაქიდან ბუდაპეშტში.

თბილისიდან „კიშპეშტის“ დასალებზე

— **ჩვენი** ეკონომიკის ძირეულმა გარდაქმნამ, ვაქრობის სამეურნეო ანგარიშზე გადასვლამ ახალი, მუშაობის უფრო ეფექტიანი ფორმების გამონახვა მოითხოვა, — ამბობს უნივერმაღ „თბილისის“ დირექტორი ჯ. ბაკურაძე, — ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა დაგვემყარებინა პირდაპირი კონტაქტი უცხოელ პარტნიორებთან. უკვე მოვაწერეთ ხელი უნგრელ კოლეგებთან გრძელვადიან კონტრაქტს. დარწმუნებული ვარო, ასეთი თანამშრომლობა ორმხრივ სარგებლობას მოგვიტანს, დაგვეხმარება ჩვენც და ჩვენს პარტნორებსაც მნიშვნელოვნად დავაჩქაროთ საქონელბრუნვის ზრდის ტემპი.

უნივერმაღებმა „თბილისმა“ და „კიშპეშტმა“ უკვე გაცვალეს ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი საერთო ღირებულების სამრეწველო ნაწარმი. გარდა უნგრეთისა, „თბილისმა“ პირდაპირი კონტაქტები დაამყარა ჩეხოსლოვაკიის უნივერმაღებთანაც.

დავით იოსების ძე ჩხიკვიშვილი

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ, რესპუბლიკის უმაღლესმა სკოლამ, ქართულმა საბჭოთა მეცნიერებამ, მთელმა ჩვენმა საზოგადოებამ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა — უეცრად გარდაიცვალა 1940 წლიდან სკკპ წევრი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, რესუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დავით იოსების ძე ჩხიკვიშვილი.

1979 წელს დ. ი. ჩხიკვიშვილი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

მნიშვნელოვანია დ. ი. ჩხიკვიშვილის დამსახურება რესპუბლიკის კულტურის, უმაღლესი სკოლისა და მეცნიერების განვითარებაში. მან დიდი ენერგია მოანდომა 50-იან წლებში ახალი პროგრესული, დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებას ქართულ საბჭოთა კულტურაში, მისი მიღწევების გატანას საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზზე. მის სახელთან მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების მეორე დეკადის (1958 წ.) დიდი წარმატება მოსკოვში. დ. ი. ჩხიკვიშვილმა როგორც რეტორმა დიდი ამაგი დასდო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის შემდგომ განვითარებას. უნივერსიტეტში მუშობის პერიოდში დ. ი. ჩხიკვიშვილის ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა ამ სასწავლებლის მეჩიდრო თანამშრომლობას სსრ კავშირისა და საზღვარგარეთის მოწინავე სამეცნიერო და სასწავლო ცენტრებთან. უკანასკნელ წლებში დ. ი. ჩხიკვიშვილი მთელ ძალასა და ენერგიას ახმარდა რესპუბლიკის უმაღლესი სკოლის გარდაქმნას.

დ. ი. ჩხიკვიშვილი თვალსაჩინო მკვლევარი ისტორიკოსი იყო. მის კალამს ეკუთვნის 70-ზე მეტი ნაშრომი, რომელთაგან 10 მონოგრაფიაა. მისმა პირველმა მონოგრაფიულმა გამოკვლევამ „სოციალისტური კულტურის ეროვნული ფორმის შესახებ“ სპეციალისტთა უურადღება მიიპყრო საკითხების ახლებური დასმითა და გადაწყვეტით. ამ მონოგრაფიაში განხილულმა პრობლემებმა შემდგომი განვითარება პოვა ავტორის ნაშრომებში „სოციალიზმი და ეროვნული კულტურის ზოგიერთი საკითხი“, „სოციალიზმი და კულტურა“, „სოციალიზმი, ერი და კულტურა“ და სხვა. დ. ი. ჩხიკვიშვილს, როგორც მეცნიერს, საყოველთაო აღიარება მოუტანა მისმა მონოგრაფიულმა გამოკვლევამ „ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუანი“, რომელიც რამდენჯერმე გამოიცა ქართულ და რუსულ ენებზე. დ. ი. ჩხიკვიშვილი იყო „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი. მისი მთავარი რედაქტორობით მომზადდა ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა თორმეტტომეული.

დ. ი. ჩხიკვიშვილი იყო გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე. იგი არაერთგზის იყო არჩეული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად, რესპუბლიკის ექვსი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარედ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეროვნულ პრობლემათა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარედ. იგი იყო საკავშირო ჟურნალის „უმაღლესი სკოლის უწყებანის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი.

მთელი თავისი სახელოვანი ცხოვრების მანძილზე დ. ი. ჩხიკვიშვილი გამოირჩეოდა პარტიული პრინციპულობით, საქმის დიდი ერთგულებით, პიროვნული კეთილშობილებით. სარგებლობდა რესპუბლიკის საზოგადოებრიობის დამსახურებული ავტორიტეტითა და სიყვარულით.

პარტიამ და სახელმწიფომ ღირსეულად დააფასეს დ. ი. ჩხიკვიშვილის საბრძოლო, შრომითი და მეცნიერული დამსახურება. იგი დაჯილდოებული იყო ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის, ხალხთა მეგობრობის, ორი შრომის წითელი დროშის, წითელი ვარსკვლავის, პირველი ხარისხის სამამულო ომის, ორი მეორე ხარისხის სამამულო ომის ორდენებით და მედლებით.

თვალსაჩინო პარტიული მუშაკის, მეცნიერის, ქართული კულტურისა და რესპუბლიკის უმაღლესი სკოლის გამორჩენილი მშენებლის, მომავალი თაობის ღირსეული აღმზრდელის დ. ი. ჩხიკვიშვილის ნათელი სახე სამუდამოდ დარჩება ჩვენს ხსოვნაში.

ჯ. ი. პაპიაშვილი, ბ. ა. იაგოდინი, ვ. ი. ალავიძე, ბ. ა. ანჩაბაძე, ა. ბ. გილაშვილი, ა. ნ. გლურჯიძე, ბ. ნ. ინუაძე, ო. ბ. ვარდელაშვილი, ა. ნ. ინაური, კ. ა. კოსტოროვი, ბ. დ. მგელაძე, ბ. ა. მეტონიძე, ბ. ვ. ნიკოლსკი, ო. ი. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჰითანავა, ბ. ვ. ადლეიბა, ბ. ბ. გუშბარიძე, ბ. ხ. ეფრიძე, ტ. ვ. ლორთქიფანიძე, ჯ. ვ. მარგველიძე, ფ. ს. სანაკოევი, ნ. რ. საჯაია, ვ. მ. სირაძე, ა. შ. იოსელიანი, ბ. ბ. ჩოგოვაძე, ნ. შ. ჯანბერიძე, ა. ნ. თავხელიძე, ი. ბ. აბაშიძე, ნ. ს. ამაღლოგელი, ი. ო. ანდრიაძე, ვ. რ. ასათიანი, ზ. ბ. მახარაძე, რ. ვ. მეტრეველი, რ. ა. ხუროძე, ბ. ნ. ჯიბლაძე, ი. ს. ქორდანია, ნ. შ. ვასაძე, ნ. ვ. გურგენიძე, თ. ნ. ლოლაძე, ბ. ვ. მაჟაბარია, კ. ს. ჰელიძე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 66 წლისა გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი საბჭოთა მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

დავით იოსების ძე ჩხიკვიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პედაგოგთა კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი, პროფესორი

დავით იოსების ძე ჩხიკვიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მინისტრი

დავით იოსების ძე ჩხიკვიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ეკო

ვაშინგტონი, 1987 წლის 8 დეკემბერი

სალამი ამგვარ გულზიარობას,
ეჭვის გაფანტვას,
ყინულის დნობას,
ჩვენი პლანეტის
მშვიდად მგზავრობას,
განსჯას,
გონებას,
ურთიერთნდობას!
ამოისუნთქა
მსოფლიომ შვებით,
მტვერი ეცლება
მტვერწყარილ რწმენახ...
ხომ შეგვძლებია
საერთო ნებით
ბრძოლა სიცოცხლის გადასარჩენად!
ხომ შეგვძლებია
ვიაროთ წაღმა,
ნდობით და რწმენით
და თანადგომით,
რომ აღარ მოხდეს
მსოფლიო წარღვნა,
რომ აღარ იყოს
ბირთვული ომი!
ხომ მივხვდით,
თუ რა ამაოდ ვხარჯავთ
ნიჭსა და შრომას,
მანეთს და დოლარს,
ხომ უბრუნდება სიმშვიდე მაჯას
და დედამიწას
გაყოფილს ორად.
დიდება ამგვარ გულზიარობას,
ეჭვის გაფანტვას,
ყინულის დნობას,
ჩვენი პლანეტის
მშვიდად მგზავრობას,
განსჯას,
გონებას,
ურთიერთნდობას!..

ელდარ კერძევაძე.



საბჭოთა კავშირ-ამერიკის სამშვიდობო ავტოგრაფები.
გ. ლომიძის ნახატი.

მოვლენა, რომელსაც ელოდნენ

ამხანაგმა გორბაჩოვმა და პრეზიდენტმა რეიგანმა კალმის ერთი მოსმით პლანეტის არსენალებიდან გამორიცხეს ბირთვული შეიარაღების ერთბაშად ორი კლასი — საშუალო და ნაკლები სიმორის რაკეტები. პირველად დიდი ხელშეკრულება ბირთვული შეიარაღების შემცირების შესახებ, პირველად გადაიდგა ნაბიჯი ნამდვილი მშვიდობისა და უშიშროების გზაზე. როგორც იქნა, განიარაღების პროცესი მკვდარი წერტილიდან დაიძრა.

ჩვენთვის, დიდი სამამულო ომის ვეტერანებისათვის, რომლებსაც გვინახავს ათასობით ადამიანის სიკვდილი და ტანჯვა, ეს მოვლენა განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. საქმე ხომ ეხება განიარაღებას, უიარაღო მსოფლიოს, ტყვიებისაგან თავისუფალ მსოფლიოს, ტყვიებისაგან, რომლებსაც დღემდე ვიღებთ ჩვენი სხეულიდან.

ისევე როგორც ჩემს მეგობრებს — თანაპოლკელებს, თანამოსაქმეებს, მჯერა, რომ ამ კეთილ დასაწყისს სხვა დიდი საქმეებიც მოჰყვება საბჭოთა და ამერიკელი ხალხების, მთელი კაცობრიობის საერთო ინტერესებისათვის. ხოლო უდიდეს სახსრებს, რომლებიც იზარჯება მოშაკვდინებელი იარაღის შესაქმნელად, სასიკეთოდ გამოვიყენებთ. მაგალითად, „გადავაკეთებთ“ რაკეტებს ისეთ რამედ, რაც პლანეტის ყველა ადამიანის ჯანმრთელობას მოემსახურება.

გ. ლესინი,
დიდი სამამულო ომის ვეტერანი, სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკი.

უსაფრთხო მომავლის გზა

ამერიკელები საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობის მომხრენი არიან

ვაშინგტონი. საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრა მთელი ამერიკის ყურადღებას იპყრობს. შეერთებული შტატების ათასობით მცხოვრები საგანგებოდ ჩამოვიდა ვაშინგტონში, რათა მისალმებოდა ისტორიულ მოვლენას — მ. ს. გორბაჩოვისა და რ. რეიგანის მიერ საშუალო და ნაკლები სიმორის რაკეტების ლიკვიდაციის ხელშეკრულების ხელმოწერას. რას ფიქრობენ ამ ისტორიულ მოვლენაზე ვაშინგტონის სტუმრები? როგორ ესახებათ იქ, ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქსა და დიდი პოლიტიკის სირთულეებისაგან დაშორებულ ქალაქებსა და დაბებში საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის მომავალი, რა ურჩევნიათ: „კონფრონტაციის კურსი თუ მაქსიმალურად შესაძლო თანამშრომლობის გზა?“.

ეს რომ დამეზუსტებინა, გადავწყვიტე ტელეფონით დამერეკა ქვეყნის სხვადასხვა კუთხის რამდენიმე დასახლებულ პუნქტში იუწყება საკდესის კორესპონდენტი. პირველად არჩევნი შევაჩერე ქალაქ მოსკოვზე, რომლის დედნია „თქვენ გყავთ მეგობარი პენსილვანიის შტატში“. სიტყვამ მოიტანა, და შეერთებული შტატების დიდ ატლასში ეძებნა ქალაქია, რომლებსაც მოსკოვი ეწოდება, და ექვსივე სხვადასხვა შტატშია. პენსილვანიის მოსკოვის მერიის ტელეფონის ნომრის დადგენა და მასთან დაკავშირება ამერიკის შეერთებულ შტატებში სატელეფონო კავშირგაბმულობის განვითარების დღევანდელი დონის პირობებში სულ ორიოდე წუთის საქმეა. ყურმილს იღებს შეერიფი ჯეიმს ჰუერი. ვეცნობი, ვეუბნები, რომ მინდა რამდენიმე შეკითხვა დავუსვა უმაღლესი დონის შეხვედრისა და ხელშეკრულების ხელმოწერის გამო. შერიფი ხ

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის კათედრამ წერილი მიიღო ამერიკის შეერთებული შტატებიდან.

კვლევა ერთობლივად მიმდინარეობს

„ჩვენ დიდად ვაფასებთ თქვენს ნამუშევრებს, ვფიქრობთ, ისინი მნიშვნელოვანია ჩვენთვის. გვინდა უფრო დაწვრილებით შევიტყოთ მის შესახებ და ერთმანეთს გავუზიაროთ ჩვენი პრაქტიკული მიღწევები“, — ამას წერს ამერიკელი მეცნიერი, პროფესორი ლარი მეისი ქართველ სპეციალისტებს. მას ამერიკული პრესის პუბლიკაციიდან შეუტყვია საქართველოს პოლიტიკური ინსტიტუტის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის კათედრის ნამუშევართა ამბავი და დიდად დაინტერესებულა აქ შემუშავებული სხვადასხვა კლიმატური ზონის წყალმომარაგების სისტემით, რომელიც გამოირჩევა წყალმომარაგების საიმედოობითა და ეკსპლუატაციის სიმარტივით.

კათედრის ნამუშევრები უკვე კარგად არის ცნობილი არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც. ერთობლივი კვლევა წარმოებს მოსკოვის თეორიული და ექსპერიმენტული ფიზიკის ინსტიტუტის კოლექტივთან, დადებულია ხელშეკრულება უნგრელ მეცნიერებთან წყალმომარაგების დარგში მართვის ავტომატიზაციის სისტემების საკითხებზე, დასახულია ერთობლივი მუშაობა წყლის ეკოსისტემების შესახებ, რომელიც პოლონელ სპეციალისტებთან წარმოებს.

▼▼

ხანმოკლე იყო ლადო ასათიანის ცხოვრება, მაგრამ მისმა პოეზიამ მარად ცოცხალ პოეტად აქცია იგი.

ნათელი მთაგონების საღამო

თბილისი მე-19 საშუალო სკოლის მოსწავლეები ყოველ წელს, იმ დღეს, როცა დაიბადა ლადო ასათიანი დიდუბის პანთეონს აკითხავენ და ყვავილებით ამკობენ პოეტის საფლავს. ლადოს ოჯახის წევრებმა თავიანთი მადლიერება იმით გამოხატეს, რომ სკოლას წიგნები უსახსოვრეს. სკოლის დირექციამ გადაწყვიტა ეს ურთიერთობა უფრო მყარი გამხდარიყო, და აი, გუშინ რკინიგზელთა სახლში მოეწყო ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო, სადაც ლადო ასათიანის ოჯახის წევრებთან ერთად მოწვეული იყვნენ ქართველი პოეტები, მწერლები, მსახიობები და ლიტერატურათმცოდნეები.

საღამოს ინტერნაციონალური ხასიათი ჰქონდა, რადგან 10-მდე ეროვნების მოსწავლე მონაწილეობდა.

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისგან, საკდესისა და საქინფორმის მასალები რუბრიკისათვის მოამზადა ნ. კლარჯეიშვილმა.

ახალი წიგნი

ზარების გუგუნი



კრებულისათვის შესანიშნავი სათაური მოუძებნიათ შემდგენელებს — „ილიას სამრეკლო“.

...დგას იგი — ერის მამა, ბრძენკაცი, „წმინდა ილია მართალი“ და გვასწავლის სამშობლოს სიყვარულს, გვირჩევს, როგორ ვიმოქმედოთ, გვარიგებს რა გზებით ვიაროთ... დგას იგი სამრეკლოზე, ხოლო ზარების გუგუნი მთელ საქართველოს ეფინება: გვაფხიზლებს, მოდუნების უფლებას არ გვაძლევს...

კრებული „ილიას სამრეკლო“ დიდი მამულიშვილის დაბადების 150 წლისთავს ეძღვნება. იგი შედგება ორი თავისაგან I. „შენი საქმეები და ღვაწლი თავისთავად იღაღადებენ“ II. წიგნიდან „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“.

პირველ თავში მკითხველი გაეცნობა სტატიებს, მეცნიერულ გამოკვლევებს, პუბლიცისტურ გამოსვლებს, რომელთა ავტორები არიან ქართველი მწერლები, მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები (XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან დღემდე). აქ გაანალიზებულია ილიას შემოქმედება. დახატულია პიროვნება — ამაღლებული, ერისთვის თავდადებული. მეორე თავში კი მოთხრობილია, თუ რა საერთო-სახალხო გლოვა გამოიწვია ილიას ვერაგულმა მკვლელობამ, როგორ დარაზმა ამ თავზარდამცემმა ამბავმა მთელი ერი ერთი დროშის ქვეშ.

დიდად გარჯილიან კრებულის შემდგენლები ჯუმბერ თითმერია და ზურაბ ჩილაჩავა ილია ჭავჭავაძეზე ზღვა მასალა არსებობს, მაგრამ საჭირო იყო მისი საგულდაგულოდ შერჩევა, რათა ნაწილობრივი სურათი მაინც წარმოგვესახა იმისა, „თუ როგორ დაფასდა ილიას ეროვნული, ჩვენ ვიტყოდით, საკაცობრიო ღვაწლი, მისი მოწამებრივი ცხოვრება და დიდებული შემოქმედება“.

მართლაც, ჩვენს ხელთ არის კრებული, რომელიც აუცილებლად უნდა წაიკითხოს ყოველმა ქართველმა— დიდმა და პატარამ.

აღსანიშნავია წიგნის ჩინებული პოლიგრაფიული დონე. იგი გამოსცა გამომცემლობა „განათლებამ“, დაიბეჭდა თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო წიგნის ფაბრიკაში. მხატვარია ა. თოდრია, რეცენზენტები — ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ჯ. დადიანი, ილიას პორტრეტის მხატვარია ლ. გრიგოლია, რედაქტორი — გ. ბოჯგუა.

ვ. მარდალეიშვილი.

„კომუნისტის“ ფოტოკონკურსი



წაგება. **ფ. კრიმსკის ფოტო.**

ანტირუბრიკა

თოკით დასაბმელი კარი

თეატრი გარდერობიდან იწყება, ახალ ტყიბულთან ჩემი შეხვედრა კი მატარებლით დაიწყო.

ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისს სადგური ახალი შენობით პირველად ვისარგებლე. უცხოეთში ნავალი კაცი არა ვარ, აქ კი ამნაირი გრანდიოზული ნაგებობა ჯერ არ მინახავს. ლამის მთელი თბილისის მოსახლეობას დაიტევს იგი თავისი დარბაზებით, ფოიეებით, შიდა მოედნებით, კიბეებით, გასასვლელებით, მოსაცდელებით, ბაქნებით...

იღბალზე, უკითხავად წავაწყდი (ჯერჯერობით არ არის მიმართულების მაჩვენებელი ნიშნები) საბილეთო სალაროებს. პირველად შეხვედრილ სარკმელთან შევჩერდი, სალაროში მჯდომ მადილასს მივესალმე, „ახალმოსახლეობა“ მივულოცე და, ტყიბულში თუ გამამგზავრებთ-მეთქი, ვკითხე.

არ ვიცი, რა შემატყო ისეთი, დამაკვირდა და მომაძახა:

— საერთაშორისოა, ბატონო, ეს!

ესე იგი, გაქვს შენ ამის შეძლებაო? და თვითონაც რომ უკვირდა, ისეთი ტონით დასძინა:

— ცამეტი მანეთი ღირს თითო ბილეთი!...

უკან დახევას ჩვეული არა ვარ:

— აგერ ორმოცდაათი პროცენტის შეღავათის დოკუმენტი, და ერთი ბილეთი მომიხიეთ.

გადავეცი ექვსი მანეთი და ათი მაური, და დავეუფლე სანუკვარი საერთაშორისო — პირდაპირი მიმოსვლის საძილე ვაგონის ბილეთს.

ვიფიქრე, ამისთანა, ასე ძვირად ღირებულ საძილე კუპეს თვალს როგორ მოვუხუჭავ (მეგობრის ახალი წიგნი თან მიმაქვს!), ძილს მერეც მოვასწრებ-მეთქი.

გავედი რადიოთი გამოცხადებულ მესამე ბაქანზე, ჩამოდგა თბილისი-ტყიბულის ვაგონები და გაგვხვია მისი გათბობის მილებიდან ამოგორგოზებულ და დაბლა ჩამოწოლილ ნახშირის კვამლში, გაჭირდა სუნთქვა, მაგრამ ავასწარი ჩემს საძილე ვაგონში... აქ კი განზრახული „თვალმოუხუჭაობის“ მიზეზი სულ სხვა რამე შეიქნა — ხელთ შემომრჩა, ასე, ოცდაათიანი წლების ნიმუშის, ჩემი სიჭაბუკის დროის, ნაცნობი ყოფილი რბილი ვაგონი, რომლის კუპეებისთვის ზემო საწოლები მოუხსნიათ და „საერთაშორისოდ“ ამითოა უქცევიათ, მაგრამ „მეჯღანუაშვილისათვის“ „ჯღანი“ ამით ვერ მოუშორებიათ. სადღაა შიდა სანიტარიუ-ბელმა მისი დანიშნულება ასე აგვიხსნა: — კუპეებს („საერთაშორისო“ ვაგონისას!) კარი არ ეკეტებათ, და მოაბით კარის სახელურიდან საკიდსო!..

ამასობაში, ისედაც რა დროს ძილია, ამ ერთ-ერთ ბოლო ვაგონს, ქუთაისის შემადგენლობის მიბმულს, მატარებელი ისე იქნევს, როგორც ვეფხვი — კუდს. ტუალეტის (ცხადია, საკეტი მასაც მოშლია!) კარიდან ფანჯრამდე ისე გისვრის, თუ რამეს ხელი არ ჩასჭიდე, გაგიჭირდა!.. გაუჭირდება მგზავრ ქალს, ანაირ ტუალეტში, მით უფრო, თუ ფეხმძიმეა. ასევე — ხეიბარს!.. ხელპირის დაბანა გინდა, ონკანის სადინარ მილს, ლურსმანივით წვერი რომ აქვს, ააჭერ ხელისგულს, თან უფრთხი, არ ჩაგიხვრიტოს, გამოქონავს ჩიტის საკკურებელი წვეთი...

ჩამოვედი საქვეყნოდ სახელგანთქმულ მეშახტეთა ქალაქ ტყიბულში. თან ვფიქრობ — ბევრად უფრო კეთილი სარკინიგზო მოსახურების ღირსნი არიან ქალაქისა და ზონის სოფლების მცხოვრებნი. უკეთესი მგზავრობის ღირსნი არიან მეშახტენი — ეს მიწისქვეშა რაინდები, ბნელბავთ, მიწისზედანი იყვნენ! თუნდაც იმ მილიონნებისათვის, სამშობლოს შემოსავლად რომ აძლევენ მრეწველობის პურს — ხშირად სიცოცხლის რისკით მოპოვებულ-გამოღებული ქვანახშირის სახითმეთქი.

ვლ. თოდრდუა.

თოკით დასაბმელი კარი

ოთხშაბათი, 14 დეკემბერი

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“. 14.00 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ქეთილი კაცი“. 15.00 — დოკუმენტური ფილმი „ოლიმპიელების ფიცი“. 16.05 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.15 — მოსწავლეთათვის. რუსული ენა. 16.45 — მოსწავლეთათვის. „მხიარული შეჯიბრება“. 18.10 — საქართველოს ისტორია. 18.40 — კონცერტი. 19.15 — საერთაშორისო დღიური. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მოამბე. 20.30 — პრემიერა ქართული დოკუმენტური ფილმისა „დაუმთავრებელი პორტრეტი“. 21.15 — „ახე ვერ გარდაიქმნებით!“ 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „გარდაქმნის პროექტორი“ (მ.). 23.05 — ლიტერატურული გადაცემა „ავტოგრაფები მარადი ზეიმის ქალაქიდან“ (განმეორებით).

მეორე პროგრამა. 17.05 — მხატვრული ფილმი „პროფესორ დოუელის ანდერძი“. 18.30 — მულტიპლიკაციური ფილმი „ჯეჯილი“. 18.50 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „პეტრიწონი“. 19.40 — ური ფილმი „ჯეჯილი“. 18.50 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ეფემერა“. 20.00 — მოამბე.

სამშაბათი, 15 დეკემბერი

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“. 14.00 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ივანე ბერიტაშვილი“. 14.45 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმები „ვასუკოველი ტორადორები“ და „ბატეო ფალკონე“. 15.35 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ქართული პოეკი“. 16.00 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.10 — შევისწავლოთ ინგლისური ენა. 16.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბავშვების ცხოვრებიდან“. 17.10 — მოსწავლეთათვის. „ჯადოსნური საღებავი“. 17.40 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე. 18.15 — „სკოლა — გარდაქმნის პრობლემები“. გადაცემაში მონაწილეობენ საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ნ. ვასაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ალავიძე (მ.). 19.00 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ტრადიცია გრძელდება“. 19.10 — „ლენინური გვარდიის ჯარისკაცები“ — ბელ ენუქიძე (დაბადების 110 წლისთავის გამო). 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მოამბე. 20.40 — „უფე ქვეყნისა“ — სატელევიზიო ნარკვევი „მშვიდობა ოჯახს“. 20.50 — „შეხვედრები ნინო ანანიაშვილთან“. მესამე შეხვედრა. ადანის ბალეტი „ჟიზელი“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „გარდაქმნის პროექტორი“ (მ.). 22.50 — ადანის ბალეტი „ჟიზელი“ (გაგრძელება).

მეორე პროგრამა. 16.35 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „უცნობი, რომელსაც ყველა იცნობდა“. I და II სერია. 18.15 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.45 — განცხადებები. 18.50 — „ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან“. „ჩვენს დიად სამშობლოში“ სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები. „კარპატული წყაროები“ და „ბაქოს ეტიუდები“. 20.00 — მოამბე.

ოთხშაბათი, 16 დეკემბერი

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“. 16.00 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.10 — შევისწავლოთ გერმანული ენა. 16.40 — „შეხვედრა კომპოზიტორებთან“ (განმეორებით). 18.20 — ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახური. „ამინდის პროგნოზირება“. 19.05 — „გარდაქმნის წახნაგები“ — „სასჯელს ითხოვს დამნაშავე“. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მოამბე. 20.35 — „გარდაქმნის წახნაგები“. 20.55 — „ვ. ი. ლენინი. ცხოვრების ფურცლები“. პრემიერა მრავალსერიიანი სატელევიზიო ფილმისა „ომიდან მშვიდობისაკენ“ პირველი ფილმი (მ.). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „გარდაქმნის პროექტორი“ (მ.). 22.50 — ქართული მხატვრული ფილმი „ჩრდილი გზაზე“.

მეორე პროგრამა. 16.35 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „უცნობი, რომელსაც ყველა იცნობდა“. III და IV სერია. 18.25 — განცხადებები. 18.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.50 — „ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან“. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „იარა“, „ქალაქი, მამა და მე“. 20.00 — მოამბე.

ხუთშაბათი, 17 დეკემბერი

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“. 14.00 — ქართული მხატვრული ფილმი „ჩრდილი გზაზე“. 15.35 — „ჩვენს დიად სამშობლოში“. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ეელეკიე ლუკი“. 15.55 — ქართული დოკუმენტური ფილმი „იაილი“. 16.05 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.15 — ტელეკურსელთათვის. საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 16.45 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „თეშური ყველი“. 17.00 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „კომპიუტერი ყველასათვის“. 17.20 — მულტიპლიკაციური ფილმი. 17.35 — მოსწავლეთათვის. „ჩვენი პრესკონფერენცია“ (მოსწავლეთა შეხვედრა ო. ლორთქიფანიძესთან). 18.20 — განცხადებები. 18.35 — ახალი წიგნები. 19.00 — „ამაგდარი“. მიხეილ რჩეულიშვილი. 19.30 — წერილის დღე — „ალო, აუქციონია?“ (პირველი გადაცემა). 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მოამბე. 20.40 — წერილის დღე — „ალო, აუქციონია?“ (მეორე გადაცემა). 20.55 — „ვ. ი. ლენინი. ცხოვრების ფურცლები“. პრემიერა მრავალსერიიანი სატელევიზიო ფილმისა „ომიდან მშვიდობისაკენ“. მეორე ფილმი.



ციხეფერ ეკრანზე

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“. 9.35 — კონცერტი. 9.55 — დოკუმენტური ფილმი. 10.25 — ამერიკის შეერთებული შტატების მუზეუმების ფერწერული შედევრები. 10.55 — რატომ და რისთვის. გადაცემა ბავშვებისთვის. 11.25 — ფ. შუბერტის № 5 სიმფონია. 12.00 — შაბათი მშობლის დღეა. 13.30 — პოეზიის წუთები. 13.35 — დოკუმენტური ტელეფილმი. 13.50 — ყველასა და თითოეულისათვის. 14.20 — რუსული ქორეოგრაფიული ფოლკლორის კონცერტი. 15.00 — სოციალიზმის ქვეყნებში. ტელეეურნალი. 15.30 — ახალი ამბები. 15.40 — მოკლემეტრაჟიანი საბავშვო მხატვრული ტელეფილმები. 16.50 — ამკარა — დაუჯერებელი. 17.50 — ახალი ამბები. 17.55 — „ცისარტყელა“. „ფერთა რაფსოდია“ (პაკისტანი). 18.20 — მულტფილმები. 18.50 — წლები. თაობები, სიმღერები. მუსიკალური გადაცემა. 19.35 — მხატვრული ფილმი „ქვებზეც ხარობს ხეები“ I და II სერია. შესვენებისას (20.40) — ჰიდრაკი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გარდაქმნის პროექტორი. 22.50 — „ეიმდეროთ, მეგობრებო! 0.35 — საღამოს საინფორმაციო — მუსიკალური პროგრამა.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — შორეული ალმოსავლეთი. კინოჟურნალი. 9.30 — რიტმული ტანვარჯიში. 10.00 — „დილის ფოსტა“. 10.30 — ყაზახეთის ტელევიზიის პროგრამა. 11.20 — ტელენარკვევი სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრზე, სოციალისტური შრომის გმირზე, მწველავ ლ. დ. ბრიზგაზე. 11.50 — მსოფლიო მხატვრული კულტურა. რემბრანდტი. 12.35 — სუბტიტრებიანი მხატვრული ფილმი „ნათესაობა“. 14.10 — დოკუმენტური ფილმი „სულით და გულით... ლენინი და საქართველო. მოგონებანი, დოკუმენტები“. 15.00 — მულტფილმი. 15.10 — ჯანმრთელობა. 15.55 — მოსაკალური გადაცემა ყმაწვილებისათვის. 18.00 — „შუაღამემდე და ნაშუაღამევს“. საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 19.40 — დაუვიწყარი მუსიკალური საღამოები. გ. ვენიავსკი — კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის რე მინორი. 20.05 — ტელესპექტაკლი „სურმაჩი“. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.15 — რეკლამა. 21.20 — თათრეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის კონცერტი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გარდაქმნის პროექტორი. 22.50 — მხატვრული ფილმი „არენაზეა ლურინი“. 0.10 — ახალი ამბები.

თბილისი

12 დეკემბერი

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“ (მ). 9.40 — „დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე“. 9.50 — საბავშვო იუმორისტული კინოჟურნალი „ურალაში“.. 10.00 — შევისწავლოთ ქართული ენა. 10.30 — გიწვევთ საკონცერტო დარბაზებში. 11.00 — შევისწავლოთ რუსული ენა. 11.30 — ხალხური შემოქმედება. ფოლკლორული საღამო გორში. 12.45 — პოეზიის ხუთი წუთი. 12.50 — თეატრალური ფოსტა. 14.00 — პოეზიის ხუთი წუთი. 14.10 — ქართული დოკუმენტური ფილმი ცენტრალური ტელევიზიის ეკრანზე — „მთელი გულითი...“. ვ. ი. ლენინი და საქართველო. მოგონებები, დოკუმენტები (მ.). 15.00 — პოეზიის ხუთი წუთი. 15.05 — გამაჯანსაღებელი სირბილი. 15.25 — საინფორმაციო გამოშვება. 15.35 — ჯარისკაცური სიმღერის ზეიმი. 17.20 — პოეზიის ხუთი წუთი. 17.25 — მოსწავლეთათვის. „ჯადოსნური საღებავი“. 18.00 — კამერული მუსიკის ფესტივალი. „ქება ვაზისა“. 18.55 — მესხეთის მუზეუმი 50 წლისაა. მშობლიური მხარის მატიანე. 19.05 — „გლობუსი“. 20.00 — მოამბე. 20.35 — თანადგომა. 20.50 — ქართული კინოდილოგია „მთაში მაღალნი“. პირველი ფილმი „ვიტორიო სელა“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „გარდაქმნის პროექტორი“. 22.50 — მხატვრული პროგრამა. 0.35 — ღამის საინფორმაციო-გასართობი პროგრამა.

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“. 9.40 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 9.50 — კინოჟურნალი „ბინდა ყველაფერი ვიცოდეთ“. 10.00 — შევისწავლოთ ქართული ენა. 10.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 11.00 — შევისწავლოთ რუსული ენა. 11.30 — „მეგობრობის ეკრანი“. დაღესტნის ტელევიზიის პროგრამა. 12.30 — კონცერტი „ზღერის ე. ობრაზცოვა“. 13.25 — პოეზიის ხუთი წუთი. 13.30 — „ჯანმრთელობა“ (სიფხიზლე ცხოვრების ნორმაა). 14.05 — თელავის მუსიკალური ფესტივალი „ქება ვაზისა“. 15.00 — ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახური — „გარემოს დაცვა“. 15.35 — პოეზიის ხუთი წუთი. 15.40 — საინფორმაციო გამოშვება. 15.50 — „სამხრეთი საზღვრების სადარაჯოზე“. სატელევიზიო ფურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 16.35 — გარდაქმნის წახნაგები. „მუშის განწყობილება ქვეყნის სიმტკიცეა“ (თბილისის ცხიმკომბინატის კოლექტივში). 17.30 — ცხაკაიას სახალხო თეატრი. 18.30 — „მე-9 სტუდია“ (მ.). 19.30 — კლასიკური მუსიკის კონცერტი. 19.50 — მულტიპლიკაციური ფილმი „დაბრუნება“. 20.00 — მოამბე. 20.35 — „თანადგომა“. 20.50 — კალათბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: თბილისის „დინამო“ — ვილნიუსის „სტატიბა“. რეპორტაჟი თბილისის სპორტის სასახლიდან. 21.30 — „კიდევ ერთი აღიარება“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „გარდაქმნის პროექტორი“ (მ.). 22.50 — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“. 23.50 — „ეკრანის ოსტატები“ — ფედერიკო ფელინი (მ.).

კვირა, 20 დეკემბერი

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“. 9.40 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 9.50 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 10.15 — „დილა მშვიდობისა!“ საკვირაო მუსიკალურ-გასართობი პროგრამა. 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები“. 11.30 — კინოფიმა. 11.55 — ქართული ხალხური სიმღერის გაკვეთილი. 12.25 — საკვირაო გამოფენა. ა. კაკაბაძე. 12.30 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეეურსი. 13.00 — ლიტერატურული გადაცემა „ფრაგმენტები ავტობიოგრაფიიდან“ — კალე ბობოხიძე. 13.35 — „მეცნიერთა სატელევიზიო კლუბი“. 14.40 — საკვირაო გამოფენა. ა. კაკაბაძე. 14.45 — „მეხვედრა ტვერის ბულვარზე“. 15.45 — ვეფხნიკი. 16.15 — „იავნანას“ წერილების კვალდაკვალ. 16.55 — „პურის ზეიმი“ (გამეორებით). 17.20 — კინონარკვევი. 17.30 — ახალგაზრდობისათვის. „ტურისტული ჩანახატები“. 18.10 — „ბათუმის მუსიკალური შემოდგომა“. 19.00 — საერთაშორისო პანორამა (მ.). 19.45 — ზღაპრის გუდა. 20.00 — მოამბე. 20.35 — ხალხური შემოქმედება. „ხელობის მადლი“. 20.50 — კალათბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: თბილისის „დინამო“ კაუნასის „ეალგირისი“. რეპორტაჟი თბილისის სპორტის სასახლიდან. 21.30 — „გარდაქმნის წახნაგები“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „გარდაქმნის პროექტორი“ (მ.). 22.50 — ხალხური შემოქმედება. „დუეტი“.

მოსკოვი

12 დეკემბერი

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“. 9.35 — კონცერტი. 9.55 — დოკუმენტური ფილმი. 10.25 — ამერიკის შეერთებული შტატების მუზეუმების ფერწერული შედევრები. 10.55 — რატომ და რისთვის. გადაცემა ბავშვებისთვის. 11.25 — ფ. შუბერტის № 5 სიმფონია. 12.00 — შაბათი მშობლის დღეა. 13.30 — პოეზიის წუთები. 13.35 — დოკუმენტური ტელეფილმი. 13.50 — ყველასა და თითოეულისათვის. 14.20 — რუსული ქორეოგრაფიული ფოლკლორის კონცერტი. 15.00 — სოციალიზმის ქვეყნებში. ტელეეურნალი. 15.30 — ახალი ამბები. 15.40 — მოკლემეტრაჟიანი საბავშვო მხატვრული ტელეფილმები. 16.50 — ამკარა — დაუჯერებელი. 17.50 — ახალი ამბები. 17.55 — „ცისარტყელა“. „ფერთა რაფსოდია“ (პაკისტანი). 18.20 — მულტფილმები. 18.50 — წლები. თაობები, სიმღერები. მუსიკალური გადაცემა.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — შორეული ალმოსავლეთი. კინოჟურნალი. 9.30 — რიტმული ტანვარჯიში. 10.00 — „დილის ფოსტა“. 10.30 — ყაზახეთის ტელევიზიის პროგრამა. 11.20 — ტელენარკვევი სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრზე, სოციალისტური შრომის გმირზე, მწველავ ლ. დ. ბრიზგაზე. 11.50 — მსოფლიო მხატვრული კულტურა. რემბრანდტი. 12.35 — სუბტიტრებიანი მხატვრული ფილმი „ნათესაობა“. 14.10 — დოკუმენტური ფილმი „სულით და გულით... ლენინი და საქართველო. მოგონებანი, დოკუმენტები“. 15.00 — მულტფილმი. 15.10 — ჯანმრთელობა. 15.55 — მოსაკალური გადაცემა ყმაწვილებისათვის. 18.00 — „შუაღამემდე და ნაშუაღამევს“. საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 19.40 — დაუვიწყარი

თბილისი

12 დეკემბერი

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“ (მ). 9.40 — „დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე“. 9.50 — საბავშვო იუმორისტული კინოჟურნალი „ურალაში“.. 10.00 — შევისწავლოთ ქართული ენა. 10.30 — გიწვევთ საკონცერტო დარბაზებში. 11.00 — შევისწავლოთ რუსული ენა. 11.30 — ხალხური შემოქმედება. ფოლკლორული საღამო გორში. 12.45 — პოეზიის ხუთი წუთი. 12.50 — თეატრალური ფოსტა. 14.00 — პოეზიის ხუთი წუთი. 14.10 — ქართული დოკუმენტური ფილმი ცენტრალური ტელევიზიის ეკრანზე — „მთელი გულითი...“. ვ. ი. ლენინი და საქართველო. მოგონებები, დოკუმენტები (მ.). 15.00 — პოეზიის ხუთი წუთი. 15.05 — გამაჯანსაღებელი სირბილი. 15.25 — საინფორმაციო გამოშვება. 15.35 — ჯარისკაცური სიმღერის ზეიმი. 17.20 — პოეზიის ხუთი წუთი. 17.25 — მოსწავლეთათვის. „ჯადოსნური საღებავი“. 18.00 — კამერული მუსიკის ფესტივალი. „ქება ვაზისა“. 18.55 — მესხეთის მუზეუმი 50 წლისაა. მშობლიური მხარის მატიანე. 19.05 — „გლობუსი“. 20.00 — მოამბე. 20.35 — თანადგომა. 20.50 — ქართული კინოდილოგია „მთაში მაღალნი“. პირველი ფილმი „ვიტორიო სელა“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „გარდაქმნის პროექტორი“. 22.50 — მხატვრული პროგრამა. 0.35 — ღამის საინფორმაციო-გასართობი პროგრამა.

თეატრი

12 დეკემბერი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ფიზელი (29-ე აბონ. მე-8 წარმოდგენა), რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურის მცირე დარბაზი — **ანა ფრანკის დღიური**; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ილია ვარ!!!**; ახმეტელის სახელობის სახელმწიფო დრამატული — **ჭინჭრაჭა** (მე-11 აბონ. მე-5 წარმოდგენა, 21-ე აბონ. მე-5 წარმოდგენა); მინიატიურების სახელმწიფო — **ნახვამდის ვანინკა**; მეტეხი — **უფანდურად სამღერი.**

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი პოეტი

ბიორგი ბრიგოლის ძე სალუქვაძე

და სამძიმარს უცხადებს ოჯახს.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 88434 უე 07276 საქართველოს კპ ცკ-ის გაზეთი „კომუნისტი“ ზარის ფითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საბაზეთო კორპუსი, ზოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14

სპორტი

ტურნირი ■ მატჩი ■ შედეგი

სევილია, 11 დეკემბერი. მეცხრამეტე სვლაზე ყაიმით დამთავრდა ოცდამეორე პარტია გარი კასპაროვსა და ანატოლი კარპოვს შორის.

ანგარიში გახდა — 11:11.

მომდევნო, ოცდამესამე შეხვედრა დანიშნულია 14 დეკემბერს.

• • •

თბილისის სპორტის სასახლეში გრძელდება ხელბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე. შეჯიბრებაში, როგორც იცით, 8 გუნდი ჩაება. პირველი ტურის მატჩები ასე დამთავრდა: პოლონეთი — იუგოსლავია — 31:16, გფრ — რუმინეთი — 25:30, სსრ კავშირი — ბულგარეთი — 36:19, საქართველო — ესპანეთი — 17:17. როგორც ხედავთ, ქართველმა ხელბურთელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს ესპანეთის ძლიერ გუნდს და საპატიო ფრეს მიაღწიეს. ჩვენი გუნდი მეორე ტურშიც შეუპოვრად იბრძოდა პოლონეთის ნაკრების წინააღმდეგ, თუმცა წაგებას ვერ გადაურჩა — 27:26. მეორე ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: სსრ კავშირი — გფრ — 28:17, ესპანეთი — იუგოსლავია — 31:12, რუმინეთი — ბულგარეთი — 24:23. 4-4 ქულით ლიდერობენ საბჭოთა და რუმინელი ხელბურთელები.

• • •

კალათბურთში ვაჟთა შორის ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მესამე ტურში ლიდერმა — საბერძნეთის „პრისმა“ სტუმრად წაადო თელ-ავივის „მაკაბთან“.

ამჟამად წინ არის ხუთი გუნდი — ჩემპიონთა თასის ახლადელი მფლობელი „ტრეისერი“, „სატურნი“, „მაკაბი“, „არისი“ და „პარტიზანი“. მათ ორ-ორი გამარჯვება აქვთ.

• • •

მართალია, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ უკვე გამოვლინდა რვავე ფინალისტი. გაისად ივნისში გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში იასპარეზებენ სსრ კავშირის, იტალიის, ესპანეთის, ირლანდიის, ინგლისის, დანიის, გფრ-ისა და ჰოლანდიის გუნდები. ფინალის მერვე საგზური სწორედ ჰოლანდიელებმა მოიპოვეს, რომლებმაც როტერდამში ანგარიშით 4:0 დაამარცხეს კვიპროსის ნაკრები. (როგორც ცნობილია, სტადიონზე მომხდარი ინციდენტის გამო უეფამ ამ გუნდების პირველი შეხვედრის შედეგი გაუქმა და განმეორებითი მატჩი დანიშნა).

გრძელდება ოლიმპიური შესარჩევი ტურნირიც. ანკარაში თურქეთის ნაკრები დამარც